რუსეთის რევოლუცია და ქართველი ფემინისტები: ქალი, როგორც პოლიტიკური სუბიექტიაია

ბერაია

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანია დაადგინოს, თუ როგორ და რა გზებით ცდილობდნენ მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველი ქალები/ფემინისტები საკუთარი თავის პოლიტიკურ სუბიექტად განხორციელებას; როგორ ეთავსებოდა ეს მცდელობა იმდროინდელ ზოგად პოლიტიკურ კონტექსტს; როგორ განვითარდა ამ ქალების, როგორც ფემინისტებისა და პოლიტიკური სუბიექტების ბედი საბჭოთა სახელმწიფოში. კვლევის ფოკუსის ამგვარი განსაზღვრა განაპირობა იმან, რომ მნიშვნელოვნად მიმაჩნია რუსეთის რევოლუციისა და ადრეული საბჭოთა სახელმწიფოს როლის დადგენა ქართული საზოგადოების განვითარებაში, აგრეთვე, ქალების როგორც პოლიტიკური სუბიექტების ისტორიის წინ წამოწევა აკადემიასა თუ ფართო საზოგადოებაში. კვლევა ეფუძნება არქივში მოძიებულ ტექსტებს. მონაცემების დამუშავება ხდება გენდერის, როგორც ანალიტიკური კატეგორიის გათვალისწინებით. გაანალიზებულია ორი ქართველი ფემინისტის, კატო მიქელაძისა (1877-1943) და ნინო ტყეშელაშვილისა (1874-1956) პოლიტიკური მოღვაწეობა და აქტივიზმი 1910-იან წლებში, აგრეთვე, მათი მიმართებები თუ რეაქციები რუსეთის რევოლუციაზე (1917 წლის თებერვლის და ოქტომბრის რევოლუციებზე). მიუხედავად ამ ქალების/ფემინისტების პოლიტიკური და რევოლუციური აქტივობისა 1910-იან წლებში, უკვე 1920-იან წლებში იწყება მათი გარდასახვა მწერლებად და პოეტებად და ეს ხდება მათი დომინანტი იდენტობა, რითიც საბოლოოდ დამკვიდრნენ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, აგრეთვე, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიასა და დისკურსშიც. კვლევაში მონაცემთა ანალიზის საშუალებით ვაჩვენებ, თუ რამ განაპირობა ამ ქალების საქმიანობის ცვლილება და ისტორიაში მათი, როგორც ფემინისტებისა და პოლიტიკური სუბიექტების მარგინალიზაცია.

საკვანძო სიტყვები: ქართველი ფემინისტები, პოლიტიკური სუბიექტი, 1910-იანი წლები, რუსეთის რევოლუცია, საბჭოთა სახელმწიფო.

შესავალი

რუსეთის რევოლუცია – ცარიზმის დამხობა 1917 წლის თებერვალში და ბოლშევიკების გამარჯვება იმავე წლის ოქტომბერში – უდავოდ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენაა, რომელმაც დასაბამი დაუდო სახელმწიფოს ახლებურ ფორმაციას. რევოლუციამ და მისმა შედეგმა, – საბჭოთა სახელმწიფომ, თავისთავად მრავალი ადამიანის ბედზე იქონია გავლენა. ეს გავლენები, ისევე როგორც განვითარებული ისტორიული პროცესი, ცალსახა და ერთფეროვანი არ ყოფილა. მკვლევარები საბჭოთა კავშირის ისტორიას ჩვეულებრივ ყოფენ რამდენიმე ერთმანეთისგან განსხვავებულ ეტაპად, ასევე ცდილობენ ამ ეტაპებს შიგნით მიმდინარე პროცესებისა და ეტაპიდან ეტაპზე ტრანზიციების ანალიზს. ამავე კონტექსტში ექცევა ქალთა ისტორიაც: მკვლევარები სწავლობენ რევოლუციისა და ქალების ურთიერთგავლენებს, ქალთა მდგომარეობას

და პროცესებს სხვადასხვა ეტაპებზე, ცდილობენ ახსნან გარდამტეხი ცვლილებების მიზეზები.

ქართულ არქივებში (მაგალითად, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის არქივში) მოიპოვება ცნობები ქართველ ქალებზე, ფემინისტებზე, რომლებიც მეოცე საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საარქივო მასალა ზოგ შემთხვევაში არც თუ ისე მდიდარია (ამას შეიძლება სხვადასხვა მიზეზი ჰქონდეს), მასზე დაყრდნობით მაინც მეტ-ნაკლებად შესაძლებელია ხსენებულ ქალთა ცხოვრების აღდგენა და რუსეთის რევოლუციასა და საბჭოთა სახელმწიფოსთან მიმართებით გააზრება. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველი ფემინისტების პოლიტიკური აზროვნება და შესაბამისი საზოგადოებრივი აქტივობები. როგორ და რა გზებით ცდილობდნენ ქართველი ქალები/ფემინისტები საკუთარი თავის პოლიტიკურ სუბიექტად განხორციელებას? როგორ ეთავსებოდა ეს მცდელობა იმდროინდელ ზოგად პოლიტიკურ კონტექსტს? როგორ განვითარდა ამ ქალების, როგორც ფემინისტებისა და პოლიტიკური სუბიექტების ბედი საბჭოთა სახელმწიფოში?

არსებობს რამდენიმე მკვლევარი, რომლებმაც XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქართველი ქალების აკადემიური წრეებისა და საზოგადოებისთვის გაცნობისთვის მნიშვნელოვანი შრომა გასწიეს. მათ შორის არიან ლელა ხომერიკი და მანანა ჯავახიშვილი, ლელა გაფრინდაშვილი და თამთა მელაშვილი.1 მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, საზოგადოებრივად აქტიური ქალების მოღვაწეობა კიდევ უფრო მეტ კვლევას და ანალიზს საჭიროებს. ეს განსაკუთრებით ითქმის XX საუკუნის 10-იან წლებზე, რომელიც რევოლუციური და მემარცხენე ძალების დომინირებით გამოირჩეოდა. XX საუკუნეში, რუსეთის რევოლუციამდე და რევოლუციის შემდგომ წლებში, საქართველოში არსებობდნენ პოლიტიკურად აქტიური ქალები, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ მათ თავისუფალი პოლიტიკური მოქმედებისა და თავიანთი მოსაზრებების არტიკულირების საშუალებები შეეზღუდათ. ამის შედეგად კი მოხდა ხსენებული ქალების მარგინალიზება პოლიტიკიდან და ისტორიიდან. მათი პოლიტიკური მოღვაწეობა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დავიწყებას მიეცა და ან არქივებში ჩაიკარგა, ან საერთოდ გაუჩინარდა. ამ კვლევაში მეოცე საუკუნის დასაწყისის ორი ქართველი ფემინისტის ტექსტების ანალიზით ვეცდები წარმოვაჩინო მათი პოლიტიკური მოსაზრებებისა ან/და აქტივობების მნიშვნელობა, აგრეთვე შეძლებისდაგვარად გავაანალიზო მათი გზა ისტორიული მარგინალიზაციისკენ.

რატომ მოვიხსენიებთ XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ქალთა ნაწილს ფემინისტებად? ჩემ მიერ შესწავლილ ტექსტებში სიტყვა "ფემინიზმს" მხოლოდ კატო მიქელაძე ახსენებს. თუ უფრო დავაზუსტებთ, სიტყვა ნახსენებია უარყოფითი მნიშვნელობით: ანტიფემინიზმი, ანტიფემინისტები, ანტიფემინისტური (მიქელაძე 1917, 28, 147, 168). მიუხედავად ამისა, როგორც კატო მიქელაძის, ისე ნინო ტყეშელაშვილის ტექსტებში ლაპარაკია "ქალთა სწორუფლიანობაზე", ქალთა უფლებებზე, ქალთა მდგომარეობაზე და სხვა (მიქელაძე 1917; მიქელაძე 1918; ტყეშელაშვილი1932). გარდა ამისა, ტექსტებში საუბარია ქალთა პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებზე (მიქელაძე 1917), მუშა ქალების რევოლუციურ მოძრაობაზე (ტყეშელაშვილი 1932) – მაშასადამე, იმ თემებზე, რომელიც წარმოადგენდა იმდროინდელი (და თანამედროვე) ფემინიზმის დღის წესრიგის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს, რომ მიქელაძე და ტყეშელაშვილი ფემინისტებად მოვიხსენიოთ მიუხედავად იმისა, უწოდებდნენ თუ არა ისინი საკუთარ თავს ფემინისტებს.

ქალები და რევოლუცია: ზოგადი მიმოხილვა

ისტორიკოსთა უმეტესობა თანხმდება, რომ 1917 წლის პირველი რევოლუცია რუსეთში „სპონტანურად" დაიწყო 23 თებერვალს – ძველი სტილით 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს. მუშა ქალები ქუჩებს მოედვნენ შეძახილებით, რომლებითაც მოითხოვდნენ ომის დასრულებას, აპროტესტებდნენ სურსათის სიძვირესა და მუშათა სიღარიბეს. ისინი ცდილობდნენ, რომ თავიანთ პროტესტში კაცებიც ჩაერთოთ, რასაც მიაღწიეს კიდეც, რადგან მოცემულ შემთხვევაში ქალების მოთხოვნები საერთო უკმაყოფილებას გამოხატავდა (მაკდერმიდი და ჰილიარი 1999).

მაშასადამე, თებერვლის რევოლუცია ქალებმა წამოიწყეს. საგულისხმოა იმდროინდელი პოლიტიკური მოღვაწეების, კაცი ბოლშევიკების დამოკიდებულება ამ მოვლენის მიმართ: ისინი პოლიტიკური აქტივობისა და პროტესტისთვის უფრო შესაფერის დროდ 1 მაისს, შრომის საერთაშორისო დღეს მოიაზრებდნენ და არა 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს. ზოგიერთი ბოლშევიკის მემუარებიდან ჩანს, რომ მათ ერჩივნათ 23 თებერვალს დემონსტრაცია სულაც არ შემდგარიყო; მიუხედავად ამისა, ქალთა აქტიურობისა და განწყობის არშემჩნევა თანდათან შეუძლებელი გახდა. კაიუროვს, ბოლშევიკური პარტიის წევრს, მიაჩნდა, რომ „თებერვალი არ იყო რევოლუციისთვის შესაფერისი დრო; არც პარტია და არც მუშათა კლასი ამისთვის მზად არ იყო." (მაკდერმიდი და ჰილიარი 1999, 150). მას არ მოსწონდა, რომ პარტიას მუშათა კლასის ამ ნაწილზე (ქალებზე) კონტროლი არ ჰქონდა და ქალთა ქმედებებს იწუნებდა როგორც ემოციურს, ირაციონალურსა და უდისციპლინოს. მათ ამბოხს იგი ხედავდა „პურის ჯანყად" ანუ ხსნიდა ყოველდღიური ეკონომიკური საჭიროებებით, ხედვით, რომელიც მოკლებული იყო გლობალურობასა და პოლიტიკურობას. ამ შემთხვევაში კაიუროვმა არ გაითვალისწინა, რომ ბოლშევიკური პარტიის წევრი ქალები

1914 წლიდან მუშაობდნენ მუშა ქალებთან. იმისთვის, რომ დემონსტრაციის წამომწყებ ქალებს პოლიტიკური გაუცნობიერებლობა არ დაბრალებოდათ, ესეც საკმარისი უნდა ყოფილიყო. აგრეთვე საინტერესოა, რომ ქალები 23 თებერვალს (8 მარტს) ისედაც აპირებდნენ დემონსტრაციის გამართვას ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, თუმცა კაიუროვმა მათ ქმედებას სრული სპონტანურობის იარლიყი მიაკერა, რადგან ისინი არ დაემორჩილნენ ბოლშევიკების მიერ განსაზღვრულ პოლიტიკას (მაკდერმიდი და ჰილიარი 1999). ამ დამოკიდებულებებში გარკვეულწილად ჩანს, თუ როგორ ხედავდნენ ბოლშევიკები ქალების როლს პოლიტიკაში: მუშათა კლასის ქალები და მათთან დაკავშირებული საკითხები, აგრეთვე ქალთა საერთაშორისო დღე მეორეხარისხოვანი იყო; უპირატესობა ენიჭებოდა კაცებს და პარტიას, მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები სწორედ ამ უკანასკნელებს უნდა გადაეწყვიტათ, ქალებს კი მათი მორჩილება მოეთხოვებოდათ. მიუხედავად ამისა, ქალებმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობისა და ლიდერების გარეშე წამოიწყეს დემონსტრაციები, რაც საბოლოოდ თებერვლის რევოლუციით დასრულდა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ვერ ვიტყვით, რომ ბოლშევიკები ქალთა ემანსიპაციის საკითხით დაინტერესებულნი არ ყოფილან. „ქალთა საკითხებმა" ყურადღება 1905 წლის რევოლუციის შემდეგ მიიქცია. ზივა გალილი ამ ფაქტს ხსნის იმით, რომ ა) 1907 წლისთვის ქალი მუშების რაოდენობამ საკმაოდ იმატა და 584 000-ს მიაღწია და ბ) გაჩნდა არასოციალისტური მიმართულების ფემინისტური მოძრაობა, რომელმაც 1907 წელს წარმატებით შეაგროვა 26 000 ხელმოწერა სუფრაჟისტული მოთხოვნით (მათ შორის, მუშა ქალებისგანაც) (გალილი 1990, 121).

სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო სოციალისტმა და მომავალში ბოლშევიკმა ალექსანდრა კოლონტაიმ მუშა ქალებთან მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საუბარი და მათ ორგანიზებაზე ზრუნვა. შემდგომში კოლონტაიმ და სხვა ბოლშევიკმა ქალებმა შეძლეს დაერწმუნებინათ პარტიის ლიდერი კაცები, მათ შორის, ლენინი, რომ მუშა ქალების საკითხი უყურადღებოდ არ უნდა დარჩენილიყო. შესაბამისად, მათივე ინიციატივით დაარსდა 1914 წელს ბოლშევიკური ჟურნალი მუშა ქალი" (გალილი 1990).

ბოლშევიკების მიერ ქალთა საკითხის თეორიული გააზრება ეფუძნებოდა შემდეგ ნაშრომებს: ავგუსტ ბებელის „ქალი სოციალიზმში" (1879) და ფრიდრიხ ენგელსის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა"(1884). აღნიშნული ავტორები წერდნენ, რომ ქალთა დაქვემდებარებას განაპირობებდა მათი მიჯაჭვა საშინაო წარმოებაზე და გარიყვა სოციალური წარმოებიდან. შესაბამისად, ქალთა განთავისუფლება მიიღწეოდა ორი ღონისძიებით – მათი ჩართვით სოციალურ წარმოებაში და „სახლის საქმის" სრული სოციალიზაციით, რაც მხოლოდ სოციალიზმის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი (გალილი 1990, 120). მოგვიანებით, 1920 წელს, კოლონტაი გაჰყვა ამ ხაზს თავის სტატიაში „კომუნიზმი და ოჯახი". იგი აცხადებდა, რომ ტრადიციულ, ნუკლეარულ ოჯახს ყავლი გაუვიდა, რადგან კაცმა დაკარგა ერთადერთი მარჩენლის ფუნქცია და ქალები გავიდნენ შრომის ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ ქალები გახდნენ მუშები, მათ ისევ დარჩათ მოვალეობები ოჯახში, როგორიცაა საჭმლის მომზადება, რეცხვა, დალაგება და ბავშვების მოვლა-აღზრდა. კოლონტაი აცხადებდა, რომ საბჭოთა რუსეთი გაათავისუფლებდა მუშა ქალებს ამ უსიამოვნო მოვალეობათაგან, რომლებისგანაც „მდიდრების ცოლები" უკვე დიდი ხნის წინ გათავისუფლდნენ. გათავისუფლება კი მიიღწეოდა ამ სამუშაოთა სოციალიზაციით, ისეთი ღონისძიებებით, როგორიცაა მაგალითად სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი სასადილოებისა და კომუნალური სამზარეულოების გახსნა. რაც შეეხება ბავშვებს, კოლონტაი აცხადებდა, რომ საზოგადოება ეტაპობრივად, მაგრამ საბოლოო ჯამში სრულად გადაიბარებდა მათზე ზრუნვისა და აღზრდის საქმეს. საბოლოოდ, კომუნისტურ სახელმწიფოში უნდა განვითარებულიყო საზოგადოება, რომელიც შედგენილი იქნებოდა „საზოგადოებრივი შრომით" დაკავებული მუშა ქალებისა და კაცებისგან, რომლებიც თავისუფალნი იქნებოდნენ `ოჯახური საზრუნავისგან" და ერთმანეთთან სიყვარულზე დაფუძნებულ თავისუფალ კავშირებს დაამყარებდნენ (კოლონტაი 1920).

ქალთა ემანსიპაციის პროგრამის ერთ-ერთი ნაწილის – ნუკლეარული ოჯახის რღვევასა და საშინაო საქმისგან ქალის გათავისუფლებაზე – განხორციელებაზე ზრუნვა ბოლშევიკებმა ოქტომბრის რევოლუციიდან მალევე დაიწყეს. ამის მნიშვნელოვანი გამოხატულება იყო 1918 წლის ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ერთი მხრივ აფუძნებდა სამოქალაქო ქორწინებას (ნაცვლად საეკლესიო ჯვრისწერისა) და მეორე მხრივ, უაღრესად ამარტივებდა განქორწინების პროცედურას (განქორწინება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე). გარდა ამისა, ქალების ხელშეწყობა გამოიხატებოდა იმაშიც, რომ კოდექსი ბავშვზე პასუხისმგებლობას (ალიმენტების სახით) მამასაც აკისრებდა (გალილი 1990; გოლდმანი 1993). აღსანიშნავია, რომ ეს ცვლილებები ქაღალდზე არ დარჩენილა. რევოლუციური მთავრობა მოწადინებული იყო გაეტარებინა აღნიშნული ემანსიპაციური პოლიტიკა; სიძნელეების მიუხედავად სახელმწიფო ცდილობდა გაეხსნა ე.წ. „ზაგსები", სადაც უზრუნველყოფდნენ სამოქალაქო ქორწინებებისა და განქორწინებების რეგისტრაციას. რაც შეეხება ალიმენტის მოთხოვნის შემთხვევებს, ეს მაჩვენებელი 1919იდან 1924 წლამდე 16%-იდან 45%-მდე გაიზარდა. მოსამართლეები ჩვეულებრივ ცდილობდნენ, რომ დაეკმაყოფილებინათ ქალის მოთხოვნები;

აგრეთვე ყურადღება არ ექცეოდა იმ ფაქტს, ქალს ბავშვი ქორწინებაში ჰყავდა თუ ქორწინების გარეშე (გოლდმანი 1993). გარდა ამისა, 1920 წელს მოხდა აბორტის ლეგალიზაცია, 1922 წლის მიწის კანონით კი ქალებმა მიიღეს საკუთრების უფლება ოჯახის ფერმაზე, აგრეთვე წილის მიღების უფლება განქორწინებისას (გალილი 1990).

ვენდი გოლდმანი (1993) საუბრობს იმაზე, რომ სახელმწიფოს საშუალებით განხორციელებული ეს ერთი შეხედვით ემანსიპატორული და პროგრესული კანონები/პოლიტიკები სინამდვილეში საკმაოდ პრობლემური იყო, რადგან ვერ ითვალისწინებდა და ვერ უზრუნველყოფდა ქალთა ეკონომიკურ საჭიროებებს. სამოქალაქო ომიდან კაცი მუშების დაბრუნებამ და ე.წ. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (”ნეპი”) ფარგლებში გატარებულმა ღონისძიებებმა გამოიწვია ქალთა მასობრივი უმუშევრობა, გაღატაკება და პროსტიტუციაში ჩაბმა. 1918 წლის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, რასაკვირველია, კაცებსაც ისევე შეეძლოთ განქორწინების ინიციატორები ყოფილიყვნენ, როგორც ქალებს. შესაბამისად, მათ შეეძლოთ მიეტოვებინათ და უსახსროდ დაეტოვებინათ ქალები, ბევრი მათგანი ასევე ვერ ახერხებდა ალიმენტების გადახდასაც, რაც ქალთა მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა (გოლდმანი 1993).

რევოლუციური პოლიტიკა თავიდანვე „ზემოდან ქვემოთ”, არადემოკრატიულად ტარდებოდა. აღნიშნული პოლიტიკა და პროგრამები გამომდინარეობდა იმ მემარცხენე თეორიებიდან და იდეებიდან, რომლებსაც პარტიის ლიდერები ეყრდნობოდნენ და რომლებსაც თითქოს ადამიანთა უკეთესი მომავალი უნდა შეექმნა, მაგრამ ბოლშევიკები მეტწილად არ/ვერ ითვალისწინებდნენ იმ რეალურ ადამიანთა საჭიროებებს, მოთხოვნილებებსა და ინტერესებს, რომლებსაც ეს პოლიტიკა ეხებოდა. ეს აცდენა თავისთავად ქმნიდა საჭიროებას, რომ პარტიას და სახელმწიფოს ძალით მოეხვია თავს თავისი პოლიტიკა „კონსერვატორი” მასებისთვის. ბარბარა ევანს კლემენტსი წერს, რომ ბოლშევიკებსა და გლეხებს შორის თავიდანვე უნდობლობა არსებობდა. გლეხი კაცები მხარს არ უჭერდნენ ქალთა ემანსიპაციისა და „ოჯახის რღვევის” პოლიტიკას. ასევე იქცეოდნენ გლეხი ქალებიც; მათი კეთილდღეობა კაცებსა და სოფელზე იყო დამოკიდებული, რევოლუციონერი ბოლშევიკები კი ომისა და რევოლუციის თანმდევ ქაოსში მათ დაცულობას ვერ უზრუნველყოფდნენ. გლეხი ქალების წინააღმდეგობა თუ ინტერესის ნაკლებობა ბოლშევიკების მიერ შეთავაზებული პოლიტიკის მიმართ კარგად ჩანს იმ ფაქტში, რომ მათი უმრავლესობა არ დასწრებია „ჟენოტდელის”[1] მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს 1919, 1920 და 1921 წლებში (კლემენტსი 1982).

„ჟენოტდელისა” და პარტიის პოლიტიკა ქალაქის მუშა ქალებისგან არაერთგვაროვან რეაქციებს იღებდა. მიუხედავად იმისა, რომ 1918 წელს უკვე ათასობით ქალი სარგებლობდა სახელმწიფო სერვისებით და ჩართული იყო რევოლუციურ საქმიანობაში, ისინი მაინც მუშა ქალთა უმცირესობას შეადგენდნენ. უმრავლესობა კი აკრიტიკებდა ბოლშევიკებს და არ იწონებდა ქალთა ემანსიპაციის პროგრამას. თუმცა, მუშა ქალებს თავიანთი ინიციატივებიც ჰქონდათ: თავიანთი ინტერესების დასაცავად მათ ქალთა პროფკავშირები შექმნეს (აღნიშნული პროფკავშირები არსებობდა

1919 და 1920 წლებში). პარტიისა და „ჟენოტდელის” რეაქცია ამ მოვლენაზე ის იყო, რომ ამ ჯგუფების დაშლისა და გაუქმების ბრძანება გასცეს (კლემენტსი1982). როგორც კლემენტსი წერს:

> „…ბოლშევიკური მთავრობა დამოუკიდებელ, ქვემოდან წამოსულ ჯგუფებს არ წაახალისებდა; პარტია ცდილობდა, რევოლუციის სპონტანურობა ასეთ ორგანიზაციებზე კონტროლის დამყარებით მოეთოკა. მეტიც, ქალთა პროფკავშირები განსაკუთრებით

> მიუღებელი იყო, რადგან ბოლშევიკები ქალთა სეპარატიზმს ყოველთვის გმობდნენ. ქალებს ეუბნებოდნენ, რომ თანასწორობა მუშათა კლასის ორგანიზაციებში მამაკაცებთან ერთად ჩართულობით უნდა მოეპოვებინათ და არა საკუთარი ინტერესის დასაცავად ცალკე ჯგუფების შექმნით." (კლემენტსი1982, 231-232)

ბოლშევიკებს სურდათ, რომ ქალებს ჩაგვრის წყაროდ კლასობრივი სისტემა დაენახათ და არა კაცები, თუმცა, რა ახსნაც არ უნდა ჰქონოდა ამ დამოკიდებულებებს, მათი პოლიტიკა დამოუკიდებელი ინიციატივების – და განსაკუთრებით, ქალთა ინიციატივების მიმართ – მტრული იყო. პარტიას ქალთა ემანსიპაციის განხორციელება მხოლოდ საკუთარი პროგრამით და ხედვით ეწადა და ეს ხედვა ქალის პოლიტიკურ სუბიექტად ქცევას არ ითვალისწინებდა.

ლინდა რაჩოპი და კეტრინ ო'სალივან სი წერენ, რომ რევოლუციურ პროგრამაში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა უპირველესი მიზანი არასდროს ყოფილა (1995,820). პარტიის ხედვით, ქალთა ემანსიპაცია გამოიხატებოდა ქალთა გათავისუფლებით საშინაო საქმისგან და მათი სრული გარდაქმნით „საზოგადოებრივ" მუშებად. კოლონტაი (1920) წერს: „ინდივიდუალური და ეგოისტური ოჯახის ადგილას მუშათა დიდი, უნივერსალური ოჯახი განვითარდება, სადაც ყველა მუშა, მამაკაცებიც და ქალებიც, უპირველეს ყოვლისა ამხანაგები იქნებიან." მაშასადამე, ქალი კერძო სფეროს ვალდებულებებისგან გათავისუფლდება და გახდება მუშა მუშათა საზოგადოებაში, თუმცა, ტექსტში არსად ჩანს საჯარო სფეროს პოლიტიკური ასპექტი და არაფერია ნათქვამი მუშების პოლიტიკურ საქმიანობაზე.

ბოლშევიკი პარტიული კაცების უარყოფითი დამოკიდებულება ქალის პოლიტიკური აქტიურობის მიმართ თავს იჩენდა თვით „ჟენოტდელის" მიმართ უნდობლობაშიც კი (კლემენტსი 1982, 232). არსებობს მოსაზრება, რომ პარტია „ჟენოტდელის" განგრძობით არსებობას მხოლოდ იმიტომ იტანდა, რომ ქალთა განყოფილება რევოლუციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში მნიშვნელოვან და საჭირო საორგანიზაციო სამუშაოს ასრულებდა (გალილი 1990, 123). ჩანს, ბოლშევიკი კაცები ქალთა პოლიტიკურ საქმიანობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიწყნარებდნენ, თუკი ეს საქმიანობა ემსახურებოდა პარტიის ინტერესებს და პარტიას მასზე კონტროლი ჰქონდა; თუმცა, ქალი პარტიული მუშაკების მიმართ არსებობდა შიში, რომ პარტიას შესაძლოა მათზე კონტროლი დაეკარგა.

1919 წელს შექმნილი „ჟენოტდელი" 1930 წელს სტალინმა გააუქმა (რაჩოპი და ო'სალივან სი 1995, 821). შეიძლება ითქვას, რომ ამით ქალებისთვის რევოლუციური პერიოდი დასრულდა. რევოლუციურ პერიოდში ვგულისხმობ იმ დროით მოცემულობას, რომლის განმავლობაშიც: ა) ქალთა ემანსიპაციის საკითხი „ოფიციალური" დღის წესრიგის ნაწილი იყო, ბ) მიუხედავად პარტიის მიერ გატარებული ავტორიტარული პოლიტიკისა, ქალებს ჰქონდათ მეტ-ნაკლებად თავისუფალი პოლიტიკური აქტივობის განხორციელების, აგრეთვე საკუთარი მოსაზრებების არტიკულირების საშუალება. აღნიშნული თავისუფლება კი მათ თავის მხრივ საშუალებას აძლევდა, რომ ემოქმედათ ქალთა (ინდივიდუალური თუ კოლექტიური) ინტერესების შესაბამისად, მაშასადამე, განეხორციელებინათ დემოკრატიულ-ფემინისტური პრაქსისი.

1930-იან წლებში, სტალინის მმართველობისას, ქალი პოლიტიკური ცხოვრებიდან გაქრა; ლენინისდროინდელი რევოლუციური, ემანსიპირებული მუშა ქალის სახე-ხატი ერთგვარი "სუპერქალის" ხატით ჩანაცვლდა – ქალს ოჯახს გარეთ მუშაობა დედობასთან უნდა შეეთავსებინა. სტალინს სჭირდებოდა ქალების შრომა ოჯახს გარეთ ცენტრალიზებული ეკონომიკის შექმნისა და ინდუსტრიალიზაციის განხორციელებისთვის. მეორე მხრივ, სახელმწიფომ ვერ განახორციელა ის

პოლიტიკა, რასაც პარტია რევოლუციის შემდეგ ქალებს ჰპირდებოდა – საშინაო საქმის სოციალიზაცია ვერ განხორციელდა. ინდუსტრიულ მუშებს მოვლა-პატრონობა სჭირდებოდათ, რასაც სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფდა, ამიტომ, ეს საქმე ისევ ქალებს დაეკისრათ. ეს გახდა "ოჯახის აღორძინების" პოლიტიკის მიზეზი, რაც საკანონმდებლო დონეზე გამოიხატა 1936 წლის სამოქალაქო კოდექსით – აბორტი არალეგალური გახდა, განქორწინების პროცედურა კი გართულდა. ახალი სახელმწიფო პოლიტიკა ქალის უპირველეს მოვალეობად აცხადებდა რეპროდუქციას და ოჯახის მსახურებას, მეორე მხრივ კი მოითხოვდა ქალის ჩართულობას წარმოებაში – ოჯახს გარეთ ანაზღაურებად შრომაში. საბჭოთა სახელმწიფომ შექმნა "სუპერქალი", მუშა-დედა, შრომის "ორმაგი ცვლა" ქალებისთვის, რამაც თითქმის საბჭოთა კავშირის დაშლამდე იარსება (გალილი 1990; რაჩოპი და ო'სალივან სი 1995). საბჭოთა სახელმწიფოს ამგვარი განვითარება ირონიულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ კოლონტაი 1920 წელს წერდა:

„ქალი, რომელიც ცოლიც არის, დედაც და მუშაც, ამ როლთა შესასრულებლად ენერგიის სრული ამოწურვამდე იღწვის. მან ქარხანაში, სტამბასა თუ კომერციულ დაწესებულებაში იმდენივე საათი უნდა იმუშაოს, რამდენიც მისმა ქმარმა, შემდეგ კი ამას ემატება ის, რომ უნდა გამოძებნოს დრო საოჯახო საქმის საკეთებლად და ბავშვების მისახედად. კაპიტალიზმმა ქალს მხრებზე მძიმე ტვირთი აჰკიდა: ხელფასიან მშრომელად აქცია, ისე რომ მისი, როგორც დიასახლისის ან დედის, საზრუნავები არ შეუმცირებია."

ქართველი ფემინისტები: პოლიტიკური მოღვაწეობა

1905-1907 წლების რუსეთის იმპერიის რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური იყო ქართული საზოგადოებაც. მოძრაობაში ჩართული იყო საზოგადოების სხვადასხვა ფენა, მათ შორის მუშები, მასწავლებლები, სტუდენტები და სხვა. თუმცა განსაკუთრებულ როლს ასრულებდა გლეხთა აჯანყებები და ავტონომიური თვითმმართველობის განხორციელების მცდელობები (ეს განსაკუთრებით გამოხატული იყო გურიაში). აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ ქართული მემარცხენე პოლიტიკური პარტიები, მათ შორის, სოციალ-დემოკრატიული პარტია, სოციალისტ-ფედერალისტური პარტია და სხვები. 1907 წლის ზაფხულიდან რეაქციამ და რეპრესიებმა დემოკრატიული და რევოლუციური ძალების მოქმედება შეაფერხა. 1907-1916 წლებში საზოგადოებრივი ინიციატივები ძირითადად განათლებისა და კულტურის საკითხებზე იყო კონცენტრირებული. ამასთანავე, პოლიტიკურ სუბიექტებს შორის გააქტიურდა.

"ეროვნული საკითხი", ნაციონალიზმისა და სოციალიზმის ურთიერთმიმართებებზე მსჯელობა. ნაციონალისტური განწყობების მომატებას და შემდგომ ანტაგონიზმს ხელი შეუწყო 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყებამაც და მისმა გავლენამ ქართულ საზოგადოებაზე. 1917 თებერვლის რევოლუციამ შექმნა საქართველოში ადგილობრივი ავტონომიური მმართველობის საჭიროება. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა იმ დროს ყველაზე გავლენიანი სოციალ-დემოკრატიული პარტია. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციას ამიერკავკასიის პოლიტიკური პარტიები გაემიჯნენ და ავტონომიური მმართველობის გაგრძელება გადაწყვიტეს, რასაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა. საქართველოს მთავრობა ცდილობდა, ეწარმოებინა დამოუკიდებელი ნაციონალური საშინაო და საგარეო პოლიტიკა, სანამ ეს ყველაფერი 1921 წლის თებერვალში საქართველოს გასაბჭოებით არ დასრულდა (ა. სურგულაძე და პ. სურგულაძე 1991).

მთლიანობაში, ეს პერიოდი განსაზღვრული იყო ფართო საზოგადოებაში მემარცხენე იდეების დომინაციით, რევოლუციური ძალების აქტიურობით და მათი ანტაგონიზმით რეაქციულ და კონსერვატიულ ძალებთან. ქართველი ფემინისტებისა და ქალთა ორგანიზაციების მოღვაწეობაც სწორედ ამ ფართო მემარცხენე-რევოლუციური კონტექსტის ნაწილად უნდა განვიხილოთ. სწორედ ამ კონტექსტთან რელევანტურობის ნიშნით შევარჩიე კვლევის საგნად ორი ქართველი ფემინისტის – კატო მიქელაძისა (1877-1943) და ნინო ტყეშელაშვილისა (1874-1956) ტექსტები.

თუკი მიქელაძისა (1939) და ტყეშელაშვილისა(1943) ავტოგრაფიებს დავეყრდნობით, ის რაც ამ ორ ქალს აერთიანებს, არის განათლების მნიშვნელობა მათ ცხოვრებაში. ორივე მათგანი ესწრაფოდა განათლების მიღებას, თუმცა, უსახსრობისა ანდა გენდერით განპირობებული ბარიერების გამო, მათ ამის შესაძლებლობა შეზღუდულად ეძლეოდათ. მიუხედავად ამისა, მელაშვილი (2013) წერს, რომ მიქელაძემ შეძლო, ჯერ მოსკოვში ესწავლა, შემდეგ კი ევროპაში. იგი საქართველოში 1914 წელს დაბრუნდა. 1903 წლამდე მოსკოვში სწავლობდა ტყეშელაშვილიც. გასაკვირი არ არის, რომ ამ ქალებისთვის პოლიტიკური იდეების ათვისება და პოლიტიკური აქტივიზმი სწორედ განათლებასთან იყო გადაჯაჭვული.

მიქელაძემ პოლიტიკური აქტივიზმი 1900 წელს, დაბა ცხინვალში ცხოვრებისას დაიწყო. ეს გამოიხატებოდა სოფლად ქალებისთვის ლექციების კითხვით, ღარიბი სტუდენტებისთვის ფულის შესაგროვებლად წარმოდგენების გამართვით და სხვ. გარდა ამისა, მან კავშირი დაამყარა მესამე დასელებთან და ჩაერთო არალეგალურ რევოლუციურ საქმიანობაში, როგორიცაა აკრძალული ლიტერატურის გავრცელება. 1905 წელს იგი მოსკოვში იმყოფებოდა და იქაურ რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობდა. 1906 წელს თავისი საქმიანობის გამო იგი იძულებული გახდა, რუსეთი დაეტოვებინა. 1914 წელს საქართველოში ჩამოსვლისას მიქელაძემ პოლიტიკური აქტივიზმი უკვე ევროპული გამოცდილებისა და განათლების საფუძველზე განაახლა. 1916 წელს იგი ქუთაისში ქალთა მდგომარეობის შესახებ საჯარო ლექციებს ატარებდა, მალევე დააარსა ქუთაისის ქალთა კლუბი, 1917 წლის თებერვალში კი – პირველი ქართული ფემინისტური გაზეთი "ხმა ქართველი ქალისა". ქალთა კლუბი წარმოადგენდა ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავდა სხვადასხვა პარტიისა და კლასის წარმომადგენელი ქალების გაერთიანებას და მათი პოლიტიკური აქტივობისთვის ხელშეწყობას. "ხმა ქართველი ქალისა" ორგანიზაციის გაზეთი იყო, რედაქტორი კი – თავად კატო მიქელაძე. გაზეთი გამოდიოდა 1917 წლის აპრილიდან 1918 წლის სექტემბრამდე, გამოვიდა სულ 50 ნომერი. გაზეთში მიქელაძე და სხვა ავტორები წერდნენ ქალთა მდგომარეობის შესახებ, მოითხოვდნენ პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ უფლებებს ქალებისთვის, ეხმაურებოდნენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს (მელაშვილი 2013).

გაზეთის, "ხმა ქართველი ქალისა", პირველივე ნომერში იბეჭდება "სიტყვა თქმული კატო მიქელაძის მიერ 20 მარტს ქალთა საზოგადო კრებაზე ქ. ქუთაისში". მიქელაძე თავის სიტყვაში ეხმაურება თებერვლის რევოლუციას. მას იმედი აქვს, რომ რევოლუცია შესაძლებელს გახდის ქალების გათავისუფლებას ჩაგვრისგან, თუმცა ფიქრობს, რომ ამისთვის თავად ქალების აქტიურობაა საჭირო. იგი მიმართავს ქართველ ქალებს და მოუწოდებს მათ, იბრძოლონ საკუთარი უფლებებისთვის: "მოისპო მმართველობა ძალმომრეობისა! და დღეს, როცა ახალი სახელმწიფოებრივი ფორმის საძირკველი იყრება, ჩვენ თავს გვაწევს, ამ დიად ისტორიულ მომენტში, საშვილიშვილო ვალი, რომ მოვითხოვოთ ისეთი პირობები პოლიტიკურ ცხოვრებისა,

რომელიც საშვალებას მისცემს ჩვენს მომავალ თაობას თავიანთი ინდივიდუალური ადამიანური პიროვნების განვითარებისა.” (1917, 26). ის, რომ მიქელაძე ქალთა ემანსიპაციის იმედებს რევოლუციას უკავშირებდა, ჩანს სხვა პუბლიკაციაშიც, სადაც იგი წერს: “ნუთუ ასეთმა არანორმალურმა ცხოვრებამ მეოცე საუკუნის აფეთქებულს რევოლუციაში, როცა ყველაფერი ახალს სახეს ღებულობს, არ უნდა აღძრას ჩვენში სურვილი განახლებისა?” (1917, 32-33).

აღსანიშნავია, რომ მიქელაძე საუბრობს ქალების ღვაწლზე რევოლუციაში. მისი თქმით, რუსი ქალები ამ მხრივ კაცებს არ ჩამორჩებოდნენ და წარმოუდგენელია, მათი ღვაწლი არ დაფასდეს (მიქელაძე 1917, 27). 1917 წლის სექტემბრის ნომერში იგი იხსენებს და ჩამოთვლის რევოლუციონერ ქალებს, რომლებიც “…მამაკაცებთან ერთად სარჩობელაზედ და კატორღაშიც მიდიოდნენ, ციხეებში და შორეულ ციმბირში დღეებს ლევდნენ.” (73). მის მიერ ჩამოთვლილთა შორის არიან კონოპლიაკოვა, გინსბურგი, პეროვსკაია, გელფმანი, ზასულიჩი და სხვები. რაც შეეხება ქართველი ქალების წვლილს რევოლუციაში, მიქელაძე წერს, რომ მათ რუსი ქალების მსგავსი გმირობა ვერ გამოიჩინეს, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამის სურვილი და “სულიერი ძალა” არ გააჩნდათ. მათ პასიურობას ორი მიზეზი ჰქონდა: ა) რევოლუციური ასპარეზი საქართველოში ორივე სქესისთვის მიუწვდომელი იყო და ბ) “ქართველს ქალს საზოგადო ასპარეზი ხელოვნურად დახშული აქვს.” (მიქელაძე 1917, 29). მიუხედავად ამისა, ქართველი ქალები, კაცების მსგავსად, ინტერესდებოდნენ და გულშემატკივრობდნენ განმათავისუფლებელ მოძრაობას (1917, 27).

ქალთა გააქტიურებისა და მათი პოლიტიკურ სუბიექტად ქცევისთვის მიქელაძეს ჰქონდა შემდეგი სტრატეგია: საჭირო იყო ქალთა, მაშასადამე, გენდერის ნიშნით ჩაგრულთა და უფლებამოკლებულთა სოლიდარობა განურჩევლად მათი კლასობრივი პოზიციისა და პარტიული კუთვნილებისა, აგრეთვე მათი გაერთიანება ქალთა პოლიტიკურ კლუბებსა და ქალთა მოძრაობაში.

იგი მოუწოდებს ბურჟუა და პროლეტარ ქალებს, რომ გაერთიანდნენ და ერთად იბრძოლონ იმ უფლებებისთვის, რომლებსაც ყველანი მოკლებულნი არიან. იგი ახსენებს ქალებს, რომ ისინი იჩაგრებიან ოჯახშიც და საჯარო სფეროშიც, ამიტომ უნდა გაერთიანდნენ და ერთად იბრძოლონ თანასწორობისთვის, “სწორუფლებიანობისთვის”. იგი ასევე მოუწოდებს ქალებს, არ ენდონ თანამებრძოლი თუ თანაპარტიელი მამაკაცების დაპირებებს: “…დღეს სახელმწიფოს საჭიროებისთვის ქალები ჩაგვაბეს რაღაც უმნიშვნელო საქმეში. მოვა დრო, როდესაც მათ ჩვენი დახმარება არ დასჭირდებათ, რომ ისევ დედაკაცების საქმეთ ერთადერთი მზარეულობა აღიარონ.” (მიქელაძე 1917, 33). მიქელაძე ცდილობს დაარწმუნოს დაბალი კლასის ქალები ქალური სოლიდარობისა და ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობაში. იგი ხაზს უსვამს პატრიარქატის მნიშვნელობას და “ბურჟუა და მუშა ქალების მდგომარეობაზე” მის აღმატებულობას; აგრეთვე საუბრობს იმაზე, რომ საკუთრების მფლობელნი ბურჟუა ქალები არ არიან, არამედ მათი ქმრები და იმაზე, რომ საქართველოში ქალებს შორის კლასობრივ ანტაგონიზმზე საუბარი გადაჭარბებულია. “სად არის ჩვენში ისეთი კაპიტალისტების ცოლები და შვილები, რომელნიც წარმოადგენდეს განცალკევებულს უმაღლეს წრეს, რომელთა არც ძირს ჩამოსვლა ჩვენთან არა ხერხდებოდეს და არც ჩვენი მათთან ასვლა?” (მიქელაძე 1917, 35).

გარდა კლასობრივი ბრძოლის საკითხისა, მიქელაძე ქალთა გაერთიანებისთვის დაბრკოლებად ხედავდა პარტიულ დაყოფას. იგი მოუწოდებდა ქალებს, არ მიექციათ ყურადღება “პარტიობისთვის” და პრიორიტეტად გაეხადათ ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა. 1917 წლის აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ჩანს, რომ მიქელაძე სოციალისტ-რევოლუციონერთა

პარტიის წევრი იყო და გაზეთის საშუალებით მოუწოდა კიდეც ქალებს, რომ ქალაქის (ქუთაისის) არჩევნებში ხმა ამ პარტიისთვის მიეცათ. მიქელაძეს მიაჩნდა, რომ აღნიშნული პარტია ითვალისწინებდა ქალთა ინტერესებს და იბრძოდა მათი უფლებებისთვის. მიუხედავად ამისა, მიქელაძე იმავე წერილში ერთგვარად ემიჯნება პარტიას, აცხადებს, რომ იგი ვიწრო პარტიული შეხედულებების მქონე არასდროს ყოფილა და არც სხვა ქალებს ურჩევს, უკრიტიკოდ მიიღონ პარტიული იდეები (1917, 69). თავის არგუმენტებს მიქელაძე იმისთვის იყენებს, რომ ქალებს სოლიდარობისა და გაერთიანებისკენ მოუწოდოს. წერილში "ქალებო, გამოფხიზლდით!" იგი წერს: "კმარა ძილი! კმარა უმოქმედობა! შეკავშირდით დურად, ამხანაგურად საერთო ქალთა ორგანიზაციულად მოწყობილ კავშირებში სოფლად და ქალაქებში. იცანით თქვენი ადამიანური ღირსება და სხვებიც იცნობენ მას." (1917,63).

მიქელაძის აზრით, ძლიერი ქალთა მოძრაობის შექმნისთვის საჭირო იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით ადგილობრივი ქალთა კავშირების შექმნა, რომლებსაც გააერთიანებდა გუბერნიის ცენტრებში არსებული ქალთა პოლიტიკური კლუბები, ხოლო თვით ეს კლუბები შეუერთდებოდნენ ქალთა საერთო ორგანიზაციას. პარტიული ქალები კი ცალკე კავშირად გამოეყოფოდნენ თავიანთ პარტიებს და ორგანიზაციას ასე შეუერთდებოდნენ. მიქელაძე ქუთაისის გუბერნიის ცენტრად ქუთაისის ქალთა კლუბს მოიაზრებდა (1917,40). მოგვიანებით, 1917 წლის სექტემბერში იგი სიხარულით ეხმაურება სამტრედიის ქალთა კლუბის დაარსებას (79).

რისთვის უნდა ებრძოლათ ამგვარად კავშირებში, კლუბებსა და ორგანიზაციებში გაერთიანებულ ქალებს? მიქელაძე, როგორც ჩანს, იმ დროს დასავლეთში პოპულარული სუფრაჟისტული მოძრაობის გავლენის ქვეშ იყო: მისი აზრით, ქალებს უნდა ებრძოლათ მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებებისთვის, პასიური და აქტიური ხმის უფლების მოსაპოვებლად, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისა და იმისთვის, რათა მომხდარიყო "...ქალთა თანასწორი უფლებებით აღჭურვა მართვა-გამგეობაში." (1917,46). იგი ასევე განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიიჩნევდა ქალთა ჩართულობას ადგილობრივ თვითმმართველობაში. მიქელაძე აკრიტიკებდა სოციალისტურ პარტიებს, რომლებიც ქალისა და კაცის თანაბარი უფლებებით აღჭურვის საჭიროებას სიტყვიერად აღიარებდნენ, მაგრამ ამას პრაქტიკაში არ ახორციელებდნენ. პარტიული კაცები არ უშვებდნენ პარტიულ და ასარჩევ კანდიდატთა სიებში ქალთა დაწინაურებას, ხოლო თუ ამის შესახებ ვინმე პრეტენზიით მიმართავდათ, პასუხობდნენ, რომ "მომზადებული ქალები" არ ჰყავდათ (მიქელაძე 1917).

თებერვლის რევოლუციის შემდეგ 1917 წლის საჯარო სიტყვაში კატო მიქელაძე ქალებისა და სოციალისტური პარტიების თანამშრომლობის გზას შემდეგნაირად სახავდა: "[ქალთა] კლუბის ძირითად[ი] საკითხი იქნება დაეხმაროს სოციალისტურ პარტიებს კონტრ-რევოლუციის მოსაგერებლად და შემოკრიფოს თავის გარშემო რაც შეიძლება მეტი ძალა ქალთა ემანსიპაციის მომხრეებისა." (1917, 28-29). იგი აგრეთვე მოუწოდებდა პარტიებსა და მუშებს, მხარი დაეჭირათ ქალთა ემანსიპაციისთვის. თუმცა, შემდგომ პუბლიკაციებში მიქელაძე ჭარბად აკრიტიკებს ქართველ მენშევიკებს 'სქესური ეგოიზმისთვის", რაც ორ მოვლენაში გამოიხატებოდა: ა) ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შეზღუდვაში და ბ) ქალთა დამოუკიდებელი კავშირების შექმნის მიმართ წინააღმდეგობაში. იგი საუბრობს იმაზე, რომ ასეთი კაცები ნამდვილი სოციალისტები და დემოკრატები არ არიან და აქტიურად მოითხოვს, რომ მათ გაითვალისწინონ ქალთა ინტერესები და მისცენ პოლიტიკური აქტიურობის საშუალება. რაც შეეხება ქალთა კავშირების მიმართ წინააღმდეგობას, მიქელაძე ადანაშაულებს მენშევიკებს ქალთა სოლიდარობის გათიშვასა და თანაპარტიელი ქალებით მანიპულირებაში: "მენშევიკები, რომლებიც დღეს ამიერკავკასიის

მმართველობის ფორმის შემუშავებას ბურჟუაზიის წარმომადგენელ კლასთან ერთად აპირობენ, ქალებს რევოლიუციის დაწყებიდან იმას ჩასჩიჩინებდენ, რომ მუშა და ბურჟუა ქალების შეთანხმება უფლებრივ საკითხში, რომელიც ორივესათვის ერთნაირად გათელილია, შეუძლებელიაო. მენშევიკებმა ყოველი ღონე იხმარეს, რომ თავიანთ ფრაქციის გარეთ არ გადაედგა მათ თანამოაზრე ქალებს არცერთი ნაბიჯი…" (1918, 99). მიქელაძე მწვავედ აკრიტიკებს სოციალისტ ქალებსაც, რომლებიც პარტიული პოლიტიკის ერთგულნი იყვნენ, უწოდებს მათ "პარტიულ მონებს" და 'პარტიულ თუთიყუშებს".

> „არ იქნა და არა, პარტიული თუთიყუშების გამოფხიზლებას არა ეშველა რა… ამ ქალებს, რომლებსაც ესა თუ ის პარტია კიტრის ფასსაც არ აძლევს გონებრივათ, რაც დაანახვეს კიდეც მათ ამხანაგ მამაკაცებმა თავიანთ პარტიულს სიაში, სადაც ქალები ზოგს სულ არ დაუსახელებია და ზოგმა კი ისეთს ადგილას მოათავსა მათი სახელები, რომელთ არჩევა შეუძლებელია, სრულიად აკმაყოფილებს პარტიის იარლიკი, რომლის ძალით მათ სიმწიფის ატესტატი ეძლევა პარტიიდან, მხოლოდ მისთვის, რომ მამაკაცების მიერ წარმოთქმული გაიზეპირონ და ილაპარაკონ, სადაც მოუხდებათ". (მიქელაძე, 1917, 92)

მიქელაძის აზრით, მენშევიკი ქალები, რომლებიც ემონებოდნენ თანაპარტიელ კაცებს, იყვნენ მათი რუპორები და არ შეეძლოთ საკუთარი ინტერესების წარმოდგენა, ვერ იქნებოდნენ ქალური სოლიდარობის აგენტები და ვერ შეძლებდნენ მუშა ქალების ინტერესების რეპრეზენტაციას.

მიქელაძის ტექსტებში ხშირად ფიგურირებს "მომზადებული ქალის" თემა. როგორც ჩანს, მენშევიკების მხრიდან განსაკუთრებით ხშირი და გამაღიზიანებელი არგუმენტი იყო ის, რომ პარტიაში პოლიტიკური საქმიანობისთვის მზად მყოფი ქალები არ ჰყავდათ. მიქელაძე მათ თავის მხრივ უპირისპირებდა არგუმენტებს, რომ მუშები და გლეხებიც ვერ დაიკვეხნიდნენ პოლიტიკური "მომზადებულობით", მაგრამ პარტიებს მათ მიმართ სხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ. გარდა ამისა, ქალები ვერასდროს მიაღწევდნენ საკმარის მზაობას და ვერასდროს მიიღებდნენ გამოცდილებას, თუ მათ მუდმივად ჩამოაცილებდნენ პოლიტიკას. იგი ასევე ციტირებს ბებელს, რომ კაცები ისევე ვერ დაიცავენ ქალთა ინტერესებს, როგორც ბურჟუები – მუშებისას (მიქელაძე, 1917, 85).

მიქელაძის პუბლიცისტიკაში ერთ-ერთი გამორჩეული წერილია "ჩვენ და ეროვნული ყრილობა", რომელიც ეხმაურება 1917 წლის 19-23 ნოემბერს ჩატარებულ საქართველოს ეროვნულ ყრილობას, სადაც ქვეყნის მომავალი პოლიტიკური ბედი წყდებოდა. ყრილობის დღის წესრიგის ნაწილი იყო თავად-აზნაურთა მამულების ჩაბარება და მათი ბედის გადაწყვეტა, წარმომადგენლობითი ორგანოს – ეროვნული საბჭოს არჩევა, ყრილობაზე აგრეთვე განისაზღვრა, რომ საქართველო წავიდოდა "ერთა თვითგამორკვევის" გზით (ჩხენკელი 1917). მიქელაძე წერს, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა ქალებისთვის დახურული იყო. "არსებითად, ეს ყრილობა იყო არა ეროვნული, არამედ ვაჟური, სადაც თავი მოეყარათ საქართველოს სხვდასხვა კუთხის ვაჟებს, სადაც 5 ქალი ძლივს ერია. ვაჟები ჩხუბობდენ. ვაჟები შერიგდენ და ამ შერიგებას ერთი მეორეს ულოცავდენ. ქართველ ქალს არათუ მონაწილეობა არ მიუღია ამ ყრილობაზე, არამედ მას თავის სიხარულის გამოთქმის ნებაც არ მისცეს." (მიქელაძე 1917,96). მიქელაძე წერს, რომ ის ერთადერთი ქალი იყო, ვინც კრებაზე სიტყვით გამომსვლელი სტუმრების სიაში ჩაეწერა, როგორც ქუთაისის ქალთა ინტერპარტიული ორგანიზაციის წარმომადგენელი. მიუხედავად ამისა, მიქელაძეს სიტყვით გამოსვლის საშუალება არ მისცეს. იგი კრების თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელთან მივიდა, რათა სიტყვა განმეორებით მოეთხოვა. მათ

შორის გამართულ დიალოგს მიქელაძე ასე გადმოსცემს: …„ჩვენ ქართულ ორგანიზაციებს სიტყვის თქმის უფლებას არ ვაძლევთ".

– ჩვენ ამას ისე გავიგებთ, რომ თქვენ პირველ ეროვნულ ყრილობაზე ქართველ ქალს თავისი სიხარულის გამოთქმის ნება არ მიეცით!

– მასე არ შეიძლება ამის გაგება!

– ჩვენ სხვანაირად ამას ვერ გავიგებთ – ვუპასუხე მას და გამოვბრუნდი." (მიქელაძე 1917,97). ტექსტიდან ჩანს, რომ მიქელაძე ამ ეპიზოდით იმედგაცრუებული და ნაწყენი დარჩა. იგი ასევე ხაზს უსვამს, რომ ეროვნული საბჭოს არჩევისას ერთადერთი ქალი, სოციალ-დემოკრატების წევრი მინადორა ტოროშელიძე დაასახელეს. "ამგვარად, ეროვნულ საბჭოში ქართველ ქალებს თავისი სპეციალური დედაკაცური ინტერესის დამცველი არავინა ყავს." (1917, 97). მიქელაძე ამაზე პასუხისმგებლობას ნოე ჟორდანიას და აკაკი ჩხენკელს აკისრებს და კვლავ გამქირდავად საუბრობს მათ სოციალისტობაზე. ეროვნული ყრილობის ამგვარმა განვითარებამ მიქელაძე უიმედოდ განაწყო. იგი ხედავდა, რომ ახალი პოლიტიკური ვითარებაც ისევე გამორიცხავდა ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობასა და მათი ინტერესების დაცულობას, როგორც ძველი.

ნინო ტყეშელაშვილი (1943) თავის ავტობიოგრაფიაში წერს, რომ პოლიტიკით და რადიკალური იდეებით ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს იყო დაინტერესებული. იგი იხსენებს, როგორ წაიყვანა თანაკლასელმა ნატაშა ქორქაშვილმა შეხვედრაზე, სადაც ციმბირიდან ახალი დაბრუნებული გიორგი ზდანოვიჩი2 იმყოფებოდა: "ჩვენ დიდი ინტერესით შევყურებდით პირველ რევოლიუციონერს გიორგი ზდანოვიჩს…" იგი აგრეთვე იხსენებს, რომ სოციალისტ გიმნაზისტებთან კავშირების დამყარებას და მათგან რევოლუციონერებზე საინტერესო ამბების შეტყობას ცდილობდა.

ტყეშელაშვილი სიამოვნებით იგონებს იმ წლებს, როდესაც მოსკოვში სწავლობდა: "შინაარსიანი საინტერესო ცხოვრება მქონდა. ეს ცხოვრება ჩემ მეხსიერებაში არ ამოიშლება." მოსკოვში ტყეშელაშვილი დაახლოებული იყო სტუდენტებთან, რომლებიც რევოლუციურ საქმიანობაში იყვნენ ჩართულნი.1903 წლის 17 მარტს ტყეშელაშვილმა მონაწილეობა მიიღო სტუდენტურ დემონსტრაციაში, რაც სტუდენტებსა და პოლიციას შორის შეტაკებით და სტუდენტების დაკავებით დასრულდა. ტყეშელაშვილი წერს, მეც დამიჭერდნენ, მაგრამ ჩემი გვარი ვერ დაიმახსოვრესო.

იმავე წელს ტყეშელაშვილი საქართველოში დაბრუნდა, პოლიტიკური აქტივობის განახლების საშუალება კი 1905 წლიდან მიეცა. იგი მიიჩნევს, რომ საქართველოში რევოლუციურ მოღვაწეობას უპარტიო ქალები ეწეოდნენ. "მასსიური გამოსვლა ქართველი ქალებისა სწორ უფლების მიღებისათვის იწყება 1905 წლიდან, როდესაც კრებების თავისუფლება გამოცხადდა." (ტყეშელაშვილი 1932). ქალებმა ორგანიზება დაიწყეს, მიზნად დაისახეს ქალთა ორგანიზაციის – "ქართველ ქალთა უფლებრივ თანასწორობის კავშირის" – დაარსება, წესდებაც შეადგინეს, მაგრამ ეს პირველი ორგანიზაცია პოლიტიკურად წარმატებული ვერ გამოდგა. ორგანიზაციის მიღწევებს შორის აღსანიშნავია მხოლოდ 1906 წელს მოსკოვში ქალთა თანასწორობის კრებაზე მომხსენებლის, კოპენჰაგენში საერთაშორისო კონგრესზე კი წარმომადგენლის გაგზავნა. ქალთა ორგანიზების კუთხით უფრო მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 1909 წელს "კავკასიის ქალთა საზოგადოების" (კქს) დაარსება. კქს-ს წესდებაში ეწერა: "I მუხლი… კავკასიის ქალთა

საზოგადოებას მიზნათ აქვს: განათლება შეიტანოს ქალებთა შორის, რომელნიც ამიერკავკასიის ფარგლებში ცხოვრობს და გაჭივრების დროს ნივთიერი დახმარება გაუწიონ.

II ამ მიზნით საზოგადოებას ნება აქვს: გახსნას სკოლა, წიგნთსაცავი, სამკითხველო და სხვა. გამართოს ლექციები, რეფერატები, მისცეს მედიკური და იურიდიული დახმარება." (ტყეშელაშვილი 1932).

მიუხედავად ამ წესდებისა, "კავკასიის ქალთა საზოგადოება" თავს მხოლოდ განათლების საკითხებით არ იზღუდავდა. "კ.ქ.ს. ფართოდ გაშალა თავის მუშაობა და სადაც კი ახალი რამე მოხთებოდა, რომელიც ხალხის უფლების გაფართოებას ეხებოდა მაშთევლე ამ საქმეში ჩაერეოდა." (ტყეშელაშვილი 1932). კქს ითხოვდა ქალებისთვის პოლიტიკურ (საარჩევნო) უფლებებს, ასევე დაინტერესებული იყო პროსტიტუციის საკითხით და ამ "საზოგადო სენთან" ბრძოლით. გარდა ამისა, კქს-მ თბილისში გახსნა მუშა ქალების კლუბი და კოოპერატიული სასადილო. მუშა ქალების კლუბი საზოგადოების აქტივობის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. "4/5 თავის მოქმედებისა საზოგადოებამ ამ კლუბის დაარსებას და მოწყობას მოანდომა." (ტყეშელაშვილი 1932). კლუბი

1910 წელს გაიხსნა, ღონისძიებები ტარდებოდა სამ ენაზე: ქართულად, რუსულად და სომხურად. კლუბმა გახსნისთანავე მიიღო 136 წევრი. კლუბი ორიენტირებული იყო ქალების განათლებაზე, ასწავლიდნენ წერა-კითხვას, სხვადასხვა საგნებს და ჭრა-კერვას. გარდა ამისა, კლუბს რეკრეაციული ფუნქციაც ჰქონდა, იმართებოდა ლიტერატურული და მუსიკალური საღამოები. მუშა ქალების დიდი დაინტერესების გამო კქს-ში სურვილი გაჩნდა, რომ ანალოგიური კლუბები კიდევ გაეხსნათ, მაგრამ მთავრობისგან ამის ნებართვა ვერ მიიღეს. საზოგადოების საქმიანობის გაფართოებისკენ სწრაფვის კიდევ ერთი გამოვლინება იყო 1913 წელს ინტერნაციონალური "კავკასიის ქალთა საზოგადოების" ქართული (ქართულენოვანი) სექციის გახსნა, რომელიც უფრო ადვილად შეძლებდა ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქალებთან მუშაობას. 1914 წელს კლუბის მუშაობა შეჩერდა, რადგან "მუშა ქალების ქმრები ან მამები ომში წაიყვანეს. ესენი შეიქნენ ოჯახის მრჩენელნი. კლუბისთვის ვიღას ცალოდა." (ტყეშელაშვილი 1932). კქს სიტუაციის შესაბამისად ორიენტირებული გახდა მუშა ქალების დახმარებაზე, კლუბის ადგილას გაიხსნა უფასო სასადილო ბავშვებისთვის, საზოგადოების ორგანიზებით გაიხსნა აგრეთვე სხვადასხვა ტიპის კურსები ქალებისთვის, რაც მათ ხელობის სწავლასა და დასაქმებაში ეხმარებოდა. გარდა ამისა, 1915 წელს კქს-ს ინიციატივით გაიხსნა თბილისში პირველი კოოპერატიული სასადილო (ტყეშელაშვილი 1932).

ქალთა კავშირები და დამოუკიდებელი პოლიტიკური აქტივობა წინააღმდეგობის გარეშე არ შემდგარა. ჯერ კიდევ 1905 წელს, როდესაც ქალთა ჯგუფები კერძო ბინებში იკრიბებოდნენ და საზოგადოების დაარსებაზე მსჯელობდნენ, მათთან მიდიოდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც ქალთა კავშირების დაარსებას ეწინააღმდეგებოდნენ და ორგანიზებისთვის ხელის შეშლას ცდილობდნენ.

> „უნდა შესდგომოდენ წესდების გარჩევას და ამ დროს მოვიდა ს.დ…. ის უარს ყოფდა ცალკე ქალთა საზოგადოების დაარსებას და მოითხოვდა ს.დ.პ. [სოციალ-დემოკრატიული პარტია] შესვლას საერთო უფლებების მისაღებათ. მისმა წინადადებამ დიდი არეულობა გამოიწვია. კრება დაიშალა… შეუდგენ რა წესდების განხილვას, კიდევ მოვიდა მ.ო. თავჯდომარე ექიმი გედევანიშვილის მეუღლე კარგათ გამოლანძღა, ხალხს ურჩია დაშლა. 'რა დროის ქალების უფლების მოთხოვნაა, როდესაც ერთ ტაფაში ვიწვითო"… აქაც ს.დ.პ. ქალები მოვიდნენ თამარა თაქთაქიშვილის მეთაურობით. ისინი წინააღმდეგი იყვენ

ორგანიზაციისა, მაგრამ მე დაუმტკიცე საბუთით ხელში: რომ გერმანიაში, სადაც ს.დ.პ. ძლიერია, იქაც არსებობს ცალკე ქალების საზოგადოება, სწორედ იმ მიზნით როგორც ჩვენ გვინდა". (ტყეშელაშვილი 1932)

ტყეშელაშვილი ასევე საუბრობს იმ იმედგაცრუებაზე, რომელიც უკვე ორგანიზებულმა და პოლიტიკურად აქტიურმა ქალებმა თებერვლის რევოლუციის შემდეგ იწვნიეს. საზოგადოებრივად აქტიური ქალები და ფემინისტები რევოლუციას სიხარულით და იმედებით აღსავსენი შეხვდნენ. ისინი კიდევ უფრო მეტი აქტიურობისთვის მზად იყვნენ: "პეტროგრადში გადატრიალებამ ფრთები შეასხა ჩვენ ოცნებას. დიდი ხნის ლოდინის განხორციელებას მოველოდით… ჩვენ ვღელავდით, ჩვენ გვწყუროდა მალე ჩავბმულიყავით სოციალურ მუშაობაში." (ტყეშელაშვილი 1932). 1917 წლის მარტში ქალთა ორგანიზაციები რამდენჯერმე შეიკრიბნენ, ასევე რამდენჯერმე გაგზავნეს წარმომადგენლები დროებით მთავრობასთან, რათა ქალები აღმასრულებელ კომიტეტში მიეღოთ, მაგრამ ყოველ ჯერზე უარი მიიღეს. ტყეშელაშვილი იხსენებს "მენშევიკების დროს" მომხდარ შემთხვევასაც, რომელიც ერთ-ერთ წინასაარჩევნო შეკრებაზე მოხდა და მას იმ დროისთვის დამახასიათებელ ტიპურ შემთხვევად მიიჩნევს. მოვიყვან მის ციტატას, სადაც ტყეშელაშვილი ხატოვნად და ემოციურად აღწერს აღნიშნულ შემთხვევას:

„გავიგეთ, რომ რაიონული არჩევნები იყო ქართულ გიმნაზიაში. იქ წავედ მე და ჩემი ამხანაგი, მხოლოთ დაგვიგვიანდა. ყველა პარტიების წარმომადგენელთ ელაპარაკნა. თავმჯდომარე მენშევიკი აპირებდა თავის სიის წაკითხვას. შესდგა ფეხი ესტრადაზე. მე კალთაზე დავსწიე და ჩამოვიყვანე. "რა გნებავსო?" შემეკითხა. "მინდა ვილაპარაკო," უპასუხე მე. "მე სიას წავიკითხავ, შემდეგ თქვენ ილაპარაკეთო," სთქვა რა ეს დააპირა ასვლა, მე კიდევ დაბლა ჩამოვიყვანე. ამხანაგმა შემაჩერა "დეე წაიკითხოს მერმე ჩვენ ვილაპარაკოთო." თავმჯდომარემ წაიკითხა სია. 20 კაცში მხოლოთ ერთი ქალი ერია… გაბრაზებულმა ასე დავიწყე: მე მჭევრ მეტყველი არა ვარ, საზოგადოებაში ლაპარაკს ვერიდები, მაგრამ თქვენ იმისთანა უსამართლობა ჩაიდინეთ, რომ ქვასაც ენას ამოადგმევიებთ. ქალი არათუ შვილ ზრდის, ოჯახს უვლის, საზოგადოებასაც ემსახურება, თვით რევოლიუციაზე დიდი ღვაწლი დასდგეს. აქ ჩამოვთვალე ყველა ცნობილი ქალები (პეროვსკაია, კონოპლიანიკოვა, ზასულიჩი, ფიგნერი, სპირიდინოვა და სხვ.). ეს არ იამათ მათ, შემაწყვეტიეს ჩამოთვლა. ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამთ ქალის დაუხმარებლათ. თქვენ 20 კაცში ერთი ქალი აგირჩევიათ. ესაა თქვენი სამართალი?! ჩემმა სიტყვამ დიდი აურზაური გამოიწვია. ერთმა წამოიძახა: "ჩვენ პარტიაში მომზადებული ქალი მეტი ვერ ვნახეთ." ეს ნავთის დასხმა იყო ცეცხლზე. ხალხი აღელდა. აქ ცოტა ხანს შეწყვიტეს კრება. გამართეს ჩემთან მოლაპარაკება. მთხოვეს ერთი ქალი დამესახელებია. მე მინდოდა ხუთი გამეყვანა და რადგან მე არ დავთანხმდი მათ სიაში ერთი მენშევიჩქა გაიყვანეს და 5 კაცი თან მიაყოლეს. მეც გაწბილებული წამოვედი სახლში."

ამ "დამახასიათებელი შემთხვევის" აღწერით ტყეშელაშვილი ხაზს უსვამს შემდეგ მოვლენებს: ქალისთვის საჯარო/პოლიტიკურ კრებაზე სიტყვით გამოსვლა გართულებული იყო (თავმჯდომარემ დაგვიანებულ ქალს ტრიბუნა არ დაუთმო; გარდა ამისა, თავად ტყეშელაშვილი ერთგვარი ბოდიშის მოხდით იწყებს თავის გამოსვლას: "ქვასაც ენას ამოადგმევიებთ"); ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა შეზღუდული იყო, საარჩევნო სიებში ძალიან ცოტა ქალი ხვდებოდა; ქალების რევოლუციურ და პოლიტიკურ საქმიანობას კაცები სათანადოდ არ აფასებდნენ; მენშევიკების არგუმენტი იყო ის, რომ "მომზადებული ქალები" არ ჰყავდათ; ქალები გავლენას ვერ ახდენდნენ პარტიულ გადაწყვეტილებებზე. ცხადია, რომ ტყეშელაშვილი რევოლუციისგან ქალთა

ემანსიპაციას და პოლიტიკაში ჩართულობის კუთხით ქალის კაცთან გათანასწორებას მოელოდა, მოვლენების ამგვარი განვითარებით კი იმედგაცრუებული დარჩა. იგი წერს, რომ კქს-ს საზოგადოებრივი წვლილი და პოლიტიკური გამოცდილება არ დაფასდა: "თუმცა კ.ქ.ს. დიდი ღვაწლი მიუძღოდა რევოლიუციონურ კულტურულ ფრონტზე, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, მომზადებულიც იყო, კიდეც ეცადა ჩაბმულიყო სოციალურ აღმაშენობლობაში, მაშინდელ მთავრობამ მაინც გულზე ხელი ჰკრა და მოიშორა." (ტყეშელაშვილი 1932).

"1921 წლიდან მე ხელოვნურად დამამუნჯეს" – წერს კატო მიქელაძე თავის ავტობიოგრაფიაში (მელაშვილი 2013, 15). რაში გამოიხატებოდა ეს "დამუნჯება"? მიქელაძე პოლიტიკურად აქტიური აღარ არის, ამის სანაცვლოდ იგი 1920-იან წლებში ლიტერატურულ მოღვაწეობას იწყებს. იგი წერდა ლექსებს, ასევე სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა ლიტერატურულ კრიტიკაზე. 1920-იან და 1930-იან წლებში მიქელაძეს ჰქონდა ფემინისტური პოლიტიკის განხორციელების მცდელობები. იგი "ცისფერყანწელებს" სექსიზმის გამო აკრიტიკებდა, 1930-იან წლებში კი მწერალთა კავშირში ქალების ხელშეწყობასა და წინწამოწევას ცდილობდა (მელაშვილი 2013). მიუხედავად ამისა, მისი ხმა მარგინალიზებული იყო და მისი მცდელობები მნიშვნელობას ვერ იძენდა. ნინო ჩიხლაძის (1990) მიერ დაწერილ მიქელაძის ბიოგრაფიაში იგი იდენტიფიცირებულია პოეტ და მწერალ ქალად. ბიოგრაფიაში ნახსენებია მიქელაძის პოლიტიკური მოღვაწეობა და ფემინისტური იდეებიც, მაგრამ ეს თითქოს მეორეხარისხოვანია და ერთგვარ ფონს ქმნის პოეტისა და ლიტერატურული მოღვაწის იდენტობისთვის.

ჩიხლაძე (1990) ნინო ტყეშელაშვილსაც მწერლად და "ქართული ეროვნული კულტურის მოღვაწედ" მოიხსენიებს. ტყეშელაშვილი თავის ავტობიოგრაფიაში გვამცნობს, რომ პირველი პიესა თავისი სახელით (ფსევდონიმის გარეშე) 1924 წელს დაწერა, 1930 წლიდან კი სისტემატურად აქვეყნებდა საბავშვო ნაწარმოებებს ჟურნალებში (ტყეშელაშვილი 1943). მის ნარატივში ერთგვარი მკვეთრი გადასვლაა პოლიტიკური აქტივიზმიდან "წერაზე", ავტორის ცხოვრება თითქოს ორ მონაკვეთად იყოფა. მიუხედავად ამისა, ტყეშელაშვილი თითქოს ცდილობს, გადალახოს ეს როლური დაპირისპირება, ბინარული დაყოფა მწერლად ან პოლიტიკურ აქტივისტად. ამაზე მანიშნებელია სიტყვები, რომლითაც იგი ავტობიოგრაფიას ასრულებს: „მშრომელთა ინტერესს ვიცავ ჩემ ნაწერებში. ეხლა მსოფლიო ომია, ამაზე ფიქრებმა გამიტაცა. მინდა კიდევ ვიცოცხლო, რომ დავინახო საბჭოთა ქვეყნის გახარება. მშრომელთა ხალხის გამარჯვება ვერაგ მტერზე. ეს ძვირათ ჯდება, მაგრამ რას იზამ უბრძოლველათ ვერაფერს მიაღწევ. ესაა ჩემი რწმენა და მთელი ჩემი სიცოცხლე ამ შრომას შევალიე."

დასკვნა

XX საუკუნის 10-იან წლებში ქართველი ფემინისტები საზოგადოებრივ ასპარეზზე აქტიურები იყვნენ. პატრიარქალური შეზღუდვებისა და პოლიტიკური წინააღმდეგობის მიუხედავად, ისინი ახერხებდნენ ორგანიზებას, ქალთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მოღვაწეობას, თავიანთი მოსაზრებების გაჟღერებას, ქალთა ემანსიპაციისთვის, მათი უფლებების გაფართოებისა და მათი ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლას, პატრიარქალური და მჩაგვრელი პოლიტიკის კრიტიკას. 1920-იანი წლებიდან მათი საქმიანობის ხასიათი იცვლება. პოლიტიკაში მათი ხმა აღარ ისმის, მათი ინიციატივები ხორცს აღარ ისხამს, ამის სანაცვლოდ, ისინი აქტიურად იწყებენ ლიტერატურულ მოღვაწეობას – საზოგადოებაში და საბოლოოდ ისტორიაშიც, მწერლებად მკვიდრდებიან. მიქელაძე „პოეტ ქალად" და კრიტიკოსად იქცევა, ტყეშელაშვილი კი – საბავშვო პოეტად და მწერლად.

ქალთა შრომის უგულებელყოფა ან მათი აქტივობისთვის ხელის შეშლა დამახასიათებელი იყო ქართველი კაცი პოლიტიკური მოღვაწეებისა და მსხვილი პოლიტიკური სუბიექტების, მაგალითად, პარტიებისთვის. თუმცა, ქართველი ფემინისტების, როგორც პოლიტიკური სუბიექტების, გაუჩინარება, მათი საბოლოო მარგინალიზაცია ბოლშევიკების არადემოკრატიული პოლიტიკის ლოგიკური შედეგია. კომუნისტური პარტია, რომელიც რუსეთის რევოლუციის შემდეგ ძალაუფლების მპყრობელი გახდა, დამოუკიდებელი ინიციატივებისა და პოლიტიკის მიმართ თავიდანვე მტრულად იყო განწყობილი. მიუხედავად იმისა, რომ პარტია 1918 წლიდან შეუდგა ქალთა ემანსიპაციის პოლიტიკის განხორციელებას, 1919 წელს კი „ჟენოტდელი" – პარტიის ქალთა განყოფილებაც – შეიქმნა, აღნიშნული პოლიტიკა ავტორიტარულად, „ზემოდან ქვემოთ" ხორციელდებოდა. პარტიის მიერ დადგენილი ხაზი ქალის პოლიტიკურ სუბიექტად ქცევას არ ითვალისწინებდა და რეალურ ქალთა ინტერესებსა და საჭიროებებს ხშირად უგულებელყოფდა.

1930 წელს „ჟენოტდელი" სტალინმა გააუქმა. ამ პერიოდიდან ქალთა ემანსიპაციის სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა `საზოგადოებრივ", ანაზღაურებად შრომას დაუკავშირდა, თუმცა, ამასთან ერთად ქალებს უნდა შეეთავსებინათ კაპიტალიზმის მიერ მათთვის კერძო სფეროში განსაზღვრული როლი – დიასახლისობა და რეპროდუქცია. დედობა და ოჯახის მსახურება კვლავ ქალის უპირველეს მოვალეობად გამოცხადდა. ამ პოლიტიკას ასახავს და ქალის ამ ორმაგ როლს ეხმაურება ქართველ ფემინისტთა ბედიც საბჭოთა სახელმწიფოში. ერთი მხრივ, მწერლობა პროდუქტიული და საზოგადოებრივი საქმიანობაა. მეორე მხრივ, ფემინისტი პოლიტიკური მოღვაწეების მწერლებად გარდაქმნა საჯარო სფეროდან მათ ჩამოცილებას ნიშნავდა. მწერლობა, განსაკუთრებით კი საბავშვო მწერლობა, სტალინის პოლიტიკის მიხედვით ქალისთვის განსაზღვრულ და ნებადართულ სფეროში ეწერებოდა. ამ კონტექსტში მწერალი და საბავშვო მწერალი ქალების მოღვაწეობა ერთგვარი „საჯარო რეპროდუქცია" იყო, ისინი საკუთარ თავში აერთიანებდნენ მუშას (წარმოების ფუნქცია) და დედას (რეპროდუქციის, ბავშვზე ზრუნვის ფუნქცია). მჩაგვრელმა სისტემებმა აღნიშნული ქალების დემოკრატიულ-ფემინისტურ პრაქსისს ხაზი გადაუსვა და მათი უნივერსალურ დიასახლისებად გარდაქმნით, ფემინისტები ისტორიაშიც მარგინალიზებული გახადა. მოცემული კვლევა ესწრაფვის, თავისი წვლილი შეიტანოს ამ მარგინალიზაციის დასრულებაში.

ბიბლიოგრაფია

გაფრინდაშვილი, ლელა. 2014. „ფემინიზმი და ქალის უფლებები: მოძრაობა ნაპირიდან ცენტრისაკენ". მოძიებულია 24 იანვარს, 2017: http://www.feminism-boell.org/ka/2014/05/08/peminizmi-da-kalis-uplebebi-mozraobanapiridan-centrisaken

მიქელაძე, კატო. 1917-1918. „ხმა ქართველი ქალისა." წიგნში კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები, რედ. თამთა მელაშვილი, 26-178. თბილისი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო.

მელაშვილი, თამთა, რედ. 2013. კატო მიქელაძე: ქართული ფემინიზმის უცნობი ისტორიები. თბილისი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო.

სურგულაძე, აკაკი და პაატა სურგულაძე. 1991. საქართველოს ისტორია 1783-1990 (საკითხავი წიგნი). თბილისი: საქართველოს მაცნე.

ტყეშელაშვილი, ნინო. 1932. კავკასიელ ქალთა ბრძოლა სწორუფლებისათვის რევოლუციონურ კულტურულ ფრონტზე, არქივი #9503-6. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის არქივი, თბილისი.

ტყეშელაშვილი, ნინო. 12 მარტი, 1943. ჩემი ბიოგრაფია, არქივი #9502-6. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის არქივი, თბილისი.

ჩიხლაძე, ნინო. 1990. კატო მიქელაძე (1878-1942). http://nateba.net/index.php/biographies/133-mikeladze-ka ჩიხლაძე, ნინო. 1990. ნინო ტყეშელაშვილი (1874?). http://nateba.net/index.php/biographies/178-tkeshelashvili ჩხენკელი, აკაკი. 19 ნოემბერი, 1917. „ა. ჩხენკელის სიტყვა საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე."

ლიბერალი, 30 მარტი, 2015. http://liberali.ge/articles/view/3967/a-chkhenkelis-sityva-saqartvelos-pirvel-erovnul- yrilobaze

ხვადაგიანი, ირაკლი და ლელა გაფრინდაშვილი. 2016. დამფუძნებელი კრების შენობა, http://www.feminism-boell.org/ka/2016/06/07/dampuznebeli-krebis-shenoba

ხომერიკი, ლელა და მანანა ჯავახიშვილი. 2005. ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობა საქართველოში: XIX საუკუნის მეორე ნახევარი და XX საუკუნის დასაწყისი. თბილისი.

Clements, Barbara Evans. 1982. `Working-class and Peasant Women in the Russian Revolution, 1917-1923." Signs, 8(2):215-235.

Engel, Barbara Alpern. 1977. `The Emergence of Women Revolutionaries in Russia." Frontiers: A Journal of Women Studies 2(1):92-105.

Galili, Ziva. 1990. `Women and the Russian Revolution." Dialectical Anthropology 15(2/3):119-127.

Goldman, Wendy Z. 1993. Women, the State and Revolution: Soviet Family Policy and Social Life, 1917-1936. Cambridge: Cambridge University Press.

Kollontai, Alexandra. 1920.Communism and the Family.https://www.marxists.org/archive/kollonta/1920/communism-family.htm

McDermid, Jane and Anna Hillyar. 1999. Midwives of the Revolution: Female Bolsheviks and Women Workers in 1917. London: UCL Press.

Racioppi, Linda and Katherine O'Sullivan See. 1995. `Organizing Women Before and After the Fall: Women's Politics in the Soviet Union and Post-Soviet Russia." Signs, 20(4):818-850.

სქოლიო

1 იხილეთ მაგალითად ხომერიკი და ჯავახიშვილი (2005), მელაშვილი (2013) გაფრინდაშვილი (2014), ხვადაგიანი და გაფრინდაშვილი (2016).

2 გიორგი ზდანოვიჩი-მაიაშვილი (1855-1917) – პუბლიცისტი, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და რევოლუციონერი მოღვაწე. 1875 წელს დააპატიმრეს და გაასამართლეს „50-ის საქმის" გამო. პატიმრობისა და ციმბირში გადასახლების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა 1889 წელს.